ნიცშეს „მორალის გენეალოგიისათვის“, როგორც ღირებულებათა გადაფასების მეთოდი

ლევან კობახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განცხადება

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან კობახიძე

21/01/2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში -„ნიცშეს „მორალის გენეალოგია“, როგორც ღირებულებათა გადაფასების მეთოდი“ - ვცდილობ ავხსნა ფრიდრიხ ნიცშეს თხზულების - „მორალის გენეალოგიის“ როლი ღირებულებათა გადაფასების პროექტში, ანუ ვაჩვენო, თუ რატომ არის აუცილებელი „მორალის გენეალოგია“ ღირებულებათა გადაფასებისთვის. ვინაიდან არსებულ კვლევებში ვერ დადგინდა მორალის გენეალოგიის როლი ღირებულებათა გადაფასების პროექტისთვის, ჩემს ნაშრომში მიზნად ვისახავ იმ ფიზიო-ფსიქოლოგიური ზეგავლენის დადგენას, რომელიც ნიცშემ განიზრახა მისი „მორალის გენეალოგიის“ მიგნებებითა და სტრუქტურით. გარდა ამისა, აქ დადგენილია ის დანიშნულება, რაც თავად ამ ფიზიო-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას აქვს მკითხველის ღირებულებათა გადაფასების პროცესისთვის. აქ ვცდილობ „მორალის გენეალოგიაში“ არსებული სტრატეგიების გამჟღავნებას, ასევე - ნიცშეს მიგნებების იდენტიფიცირებას, რომელიც იუდეო-ქრისტიანულ მორალს აუფასურებს და იმ მიზეზების დადგენას, რის გამოც უფასურდება იგი. ამავდროულად, აქ იდენტიფიცირებულია ის მიგნებებიც, რომელიც კეთილშობილურ მორალს განადიდებს და ახსნილია მიზეზი იმისა, თუ როგორ განადიდებს იგი მის ღირებულებას. გარდა ამისა, განსაზღვრულია ღირებულებათა გადამფასებლის „ფიზიო-ფსიქოლოგიური“ ტიპი. ნიცშეს „ზეადამიანის“ ფილოსოფიური და პოლიტიკური პროექტის გამოკვლევა, სწორედ ღირებულებათა გადაფასების არსის ნათელყოფას და ღირებულებათა გადამფასებლის ფიზიო-ფსიქოლოგიური ტიპის დადგენას უნდა დაეფუძნოს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნიცშე, მორალის გენეალოგია, ღირებულებათა გადაფასება, მაღალი ადამიანი, არისტოკრატია.

Abstract

In my work - "Nietzsche's "Genealogy of morality" as a method of the revaluation of values"- I try to explain the role of Friedrich Nietzsche's" "Genealogy of Morality" in the project of the Revaluation of values, thus I try to explain the reason why "Genealogy of Morality" is necessary for the revaluation of values. The existing studies did not succeed in explaining the role of the genealogy of morality for the project of the "revaluation of values". My aim here is to identify the physiological and psychological impact that Nietzsche intended with his "insights" and structure of the "Genealogy of morality". In addition, I establish the purpose and meaning which has this physiological and psychological impact of the reader on the process of the "revaluation of values" itself. I try to decipher the strategies in the Genealogy of Morality, as well as to identify Nietzsche's insights which undermine Judeo-Christian morality and also to explain the reasons as to why it is devalued. I also identify insights that glorify noble morality and explain the reason why it glorifies its value. In addition, the "physio-psychological" type of the revaluator itself is defined. An examination of Nietzsche's philosophical and political project of the "Superhuman" should be based on clarifying the essence of the revaluation of values and the physio-psychological type of the revaluator.

Key Words: Nietzsche, Genealogy of morality, Revaluation of values, Higher man, Aristocracy.